პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ახალგაზრდა სტალინელი

ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის, რექტორატის, კომკავშირის კომიტეტისა და პროფკომის ორგანო

Молодой Сталинец — орган парткома, ректората, комитета ЛКСМ и профкома Тбилисского государственного университета имени И. В. СТАЛИНА

№ 2 (174) | პარასკევი, 11 იანვარი, 1957 წ. გამოცემის მეიქვსე წელი | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში

- გამოცდები დაიწყო (მოწინავე)
- უნივერსიტეტის გამომცემლობაში
- კრიოგენულ ლაბორატორიაში
- საგამოცდო სესიების დღიური
- სტუდენტთა პედპრაქტიკა
- მეექვსე ხუთწლედის შესახებ
- მოსკოვის ფესტივალის გეგმები
- ერთი თარგმნილი წიგნის შესახებ

გამოცდები დაიწყო

დაიწყო ზამთრის საგამოცდო სესიები — მნიშვნელოვანი ეტაპი უმაღლესი სასწავლებლების ცხოვრებაში. საგამოცდო სესიებისათვის მოსამზადებელი მუშაობა თავის დროზე გაიშალა ჩვენს უნივერსიტეტში. ფაკულტეტების დეკანატებმა დროულად განსაზღვრეს, თუ რომელ საგანში ჩაუტარდებოდათ სტუდენტებს გამოცდები თვითეული კურსისა და სპეციალობის მიხედვით; შეადგინეს საგამოცდო ცხრილები. წინასაგამოცდო პერიოდში სასწავლო კაბინეტებსა და ლაბორატორიებში შესაბამისმა კათედრებმა გააძლიერეს საკონსულტაციო მუშაობა, უზრუნველყვეს მუშაობა ორ ცვლაში, რათა ყველა სტუდენტს ჰქონებოდა მაქსიმალური შესაძლებლობა ესარგებლა კაბინეტ-ლაბორატორიებით.

სტუდენტთა უმეტესობა სასწავლო წლის დაწყებიდანვე ენერგიულად შეუდგა მუშაობას და საფუძვლიანი ცოდნით შეხვდა გამოცდებს. მუშაობდნენ რა ისინი სისტემატურად და აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ რა სემინარულსა და პრაქტიკულ მეცადინეობებში, ყველა საგანში მიეცათ ჩათვლა. მათ პირველი გამოცდებიც წარმატებით ჩააბარეს.

ამასთან, ჩვენი სტუდენტების ერთი ნაწილი, ჯერ კიდევ ვერ ამაღლებულა იმ შეგნებამდე, რომ მეცნიერების დაუფლებისათვის საჭიროა სისტემატური მუშაობა. ბევრ მათგანს ზედმეტად მიაჩნია ლექცია-სემინარებზე დასწრება, ზოგიც კიდევ საგნის სასწავლო პროგრამაში მითითებული სავალდებულო ლიტერატურის დამუშავების ნაცვლად მხოლოდ სალექციო კონსპექტური ჩანაწერებით აპირებს ფონს გასვლას. არიან ისეთებიც, რომლებიც ამითაც არ იწუხებენ თავს და, ტყუილად ატარებენ რა სასწავლო სემესტრის მთელ პერიოდს, გამოცდების წინა დღეებში ამხანაგებისაგან ნათხოვარი კონსპექტებით ცდილობენ „განსწავლულ ადამიანებად" გახდომას. ცხადია, მიუხედავად ათასნაირი ცდისა, დარჩენილ ორიოდ დღეში ღამეების გათევისა, ისინი სასურველ შედეგს ვერ აღწევენ.

ჩვენი გაზეთის გასული წლის 12 დეკემბრის ნომერში მოთავსებულ წერილში — „ჩვენი მუშაობის სუსტი უბანი" — ვლაპარაკობდით ზოგიერთ ლონისძიებათა შედეგად სტუდენტთა გადატვირთულობის შესახებ. ეს საკითხი, რა თქმა უნდა, მომწიფებულია და ამ მიმართულებით მომავალში გარკვეული ნაბიჯის გადადგმა აუცილებლად მიზანშეწონილი იქნება, მაგრამ აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ ასეთი გადატვირთულობა საესებით არ შეიძლება მივიჩნიოთ ზემოაღნიშნული კატეგორიის სტუდენტთა სწავლისათვის მოუცლელობის მიზეზად. ისინი არც სწავლაში იწუხებენ თავს და არც სხვა საქმეში. ასეთ სტუდენტებს ერთხელ და სამუდამოდ უნდა გამოვუცხადოთ ბრძოლა, აღვკვეთოთ მათი უქნარობა.

რაზე მეტყველებს, მაგალითად, ის ფაქტი, რომ მიმდინარე საგამოცდო სესიების წინ 106 სტუდენტმა ვერ მიიღო ჩათვლა ცალკეულ საგნებში? — ცხადია, ერთზე, — იმაზე, რომ ისინი გულისხმიერად არ მუშაობდნენ სემესტრის მანძილზე, მონაწილეობას არ იღებდნენ პრაქტიკულსა და სემინარულ მეცადინეობაში. ზოგმა მათგანმა (გ. აბულაძემ, ბ. ბრეგვაძემ — ფილოლოგიური ფაკულტეტიდან; თ. ჩხიკვაძემ, ლ. სანაძემ — ეკონომიური ფაკულტეტიდან და სხვ.) ჩათვლა ვერ მიიღო ფიზიკურ აღზრდაში—იმის გამო, რომ არც სალექციო საათებზე დადიოდნენ და არც ფაკულტატურ მეცადინეობაზე, თუმცა ხელშემშლელი რამ გარემოება (ჯანმრთელობის მდგომარეობა და სხვ.) მათ არ გააჩნდათ. ვინ იცის, ბევრმა მათგანმა რამდენი დრო დაჰკარგა სემესტრის ბოლოს, რომ მოელბოთ ფიზიკური აღზრდის მასწავლებლის გული, მაგრამ, ცხადია, მათ არაფერი გაუკეთებიათ და ჩათვლაც ვერ მიიღეს. ეს დრო რომ მათ, როცა საჭირო იყო, ფიზკულტურულ მეცადინეობისათვის მოეხმარებინათ, ამ მდგომარეობაში არ ჩავარდებოდნენ. ასევე ითქმის სხვა საგნების შესახებაც.

გამოცდებზე სტუდენტები თავიანთი სურვილით ჩაეწერენ ცალკეულ საგამოცდო დღეებში, მაგრამ ზოგი მათგანი არც ამას იცავს და დანიშნულ დროზე არ გადის გამოცდაზე (მაგალითად, მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტები გ. გუნცაძე, ლ. ჩიქოვანი, ი. მათიაშვილი, ი. ნოზაძე, ლ. გიორგაძე და სხვები დანიშნულ დღეს არ გავიდნენ გამოცდაზე მათემატიკურ ანალიზში). ამის მიზეზიც ისაა, რომ ისინი ყველანი დროულად როდი მოემზადნენ გამოცდებისათვის.

ჩვენი მიზანია მთელი პასუხისმგებლობით მივუდგეთ გამოცდების ჩატარების მეტად სერიოზულ ამოცანას და ასეთი ზარმაცების მიმართ არამც და არამც არ დავუშვათ რაიმე შეღავათები. მხოლოდ ამით შევუწყობთ ხელს სწავლის ხარისხის შემდგომ ამაღლებას.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს: დაინიშნოს საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნები კვირას, 1957 წლის 17 მარტს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. ჩუბინიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ს. რუხტიაშვილი

ქ. თბილისი. 1957 წლის 3 იანვარი.

კრიოგენულ ლაბორატორიაში

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფიზიკის ფაკულტეტთან შეიქმნა კრიოგენული ანუ დაბალი ტემპერატურების ლაბორატორია. ეს ლაბორატორია საბჭოთა კავშირის უმაღლეს სასწავლო დაწესებულებათა ფარგლებში პირველად თბილისში შეიქმნა სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე. ამ ლაბორატორიას ხელმძღვანელობს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი, პროფ. ე. ანდრონიკაშვილი. მისი უშუალო ხელმძღვანელობით ამ ლაბორატორიაში მეცნიერულ შრომებს ამუშავებენ და კვალიფიკაციას იმაღლებენ ჩვენი უნივერსიტეტის ფიზიკის ექსპერიმენტატორები.

ერთ-ერთი ასეთი შრომა, 1956 წლის სამეცნიერო მუშაობის გეგმით შესრულდა ასისტენტ გ. გამცემლიძემ. შრომის თემა იყო „ჰელიუმ—II ზედენადი ნაწილის Vs სიჩქარის ტანგენციალური წყვეტის არსებობა სითხესა და კედლის საზღვარზე". შრომას ხელმძღვანელობდა აკადემიკოსი ე. ანდრონიკაშვილი.

შრომა ძირითადად წარმოადგენს განზოგადების თეორიის პრაქტიკულ დასაბუთებას. მისი შესრულებისათვის აუცილებლობას წარმოადგენდა სადემონსტრაციო დანადგარის დამზადება. მიუხედავად იმისა, რომ დანადგარი მეტად რთული აგებულებისაა, გ. გამცემლიძემ ეს ამოცანა წარმატებით გადაჭრა. მის მიერ აგებული დანადგარი უკვე კრიოგენულ ლაბორატორიაში დგას და პრაქტიკულ გამოყენებას პოულობს.



სურათზე: ასისტენტი გ. გამცემლიძე და ლაბორანტი პ. ქელიძე ამოწმებენ დანადგარს ექსპლოატაციაში გაშვების წინ.

ტექსტი და ფოტო
რ. ერისთავისა

გამომცემლობამ გეგმა შეასრულა

უნივერსიტეტის გამომცემლობისა და სტამბის მუშაობა ამ 4 წლის განმავლობაში საგრძნობლად გაიზარდა. თუ 1952 წლისათვის გამომცემლობის გეგმა ითვალისწინებდა 12 სახელწოდების წიგნის გამოცემას, მოცულობით 367 ნაბეჭდ თაბახს, 510 ათასი ანაბეჭდი ფურცლით, 1956 წელს დაგეგმილი იყო 33 სახელწოდების წიგნი—საერთო მოცულობით 712 თაბახი, 1900 ათასი ანაბეჭდი ფურცლით.

ამასთან, უკანასკნელ წლებში დასახული გეგმები გადაჭარბებით სრულდება ყველა მუხლში. ასე მაგალითად, გასულ 1956 წელს ჩვენმა გამომცემლობამ ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 33 სახელწოდების წიგნისა გამოსცა 38 სახელწოდების წიგნი 819 ათასზე მეტი რაოდენობის ნაბეჭდი თაბახით (ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 712 ათასისა).

ასევე გაიზარდა და გადაჭარბებით სრულდება უნივერსიტეტის გამომცემლობის სტამბის საწარმოო-საფინანსო გეგმა. თუ 1952 წელს სტამბის საწარმოო-საფინანსო გეგმა ითვალისწინებდა 900 ათასი მანეთის პროდუქციის გამოშვებას, 1956 წელს ითვალისწინებდა 1 584 ათასი მანეთის პროდუქციის გამოშვებას, რაც გადაჭარბებით იქნა შესრულებული.

1956 წ. გამოცემული წიგნებიდან უმეტესობა სახელმძღვანელოები და დამხმარე სახელმძღვანელოებია (სულ 22 სახელწოდების), ხოლო დანარჩენი — მონოგრაფიები, უნივერსიტეტის „შრომები" (4 ტომი), მეცნიერულ-პოპულარული ბროშურები და სხვ.

გამოცემული წიგნებიდან აღსანიშნავია: „ვეფხის-ტყაოსნის" სიმფონია, შედგენილი ა. შანიძის ხელმძღვანელობით; ა. რაზმაძის — ინტეგრალური აღრიცხვის კურსი, ნ. მუსხელიშვილის — თეორიული მექანიკა; დ. დოლიძის — თეორიული მექანიკის მოკლე კურსი; ვ. კუპრაშვილის — ფიზიკური ქიმია; დ. კობახიძის — უცხოელ ავტორთა ზოოლოგია; კ. კეკელიძის — ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. I; გ. ახვლედიანის — ზოგადი ფონეტიკის შესავალი; ს. ჟღენტის — ქართული ენის ფონეტიკა; რ. ნათაძის — ზოგადი ფსიქოლოგია; ნ. ქოიავას — კაპიტალისტური ქვეყნების ფულის მიმოქცევა და კრედიტი, წიგნი I; დიალექტიკური მატერიალიზმის საკითხები, პროფ. კ. ბაქრაძის, დოც. ს. გუჯაბიძის, დოც. ს. წერეთლის და სხვების ავტორობით; სახელთა ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, წიგნი 1, პროფ. ვ. თოფურიას რედაქციით; პროფ. ალ. ღლონტის — ზოგადი ... დოც. ბ. ხარაზიშვილის — კრიმინალისტიკა, განსაკუთრებული ნაწილი; პროფ. ... — ... თეორია; პროფ. ი. ცინცაძის — ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან და სხვ.

გამომცემლობისა და სტამბის გეგმები კიდევ მეტად დიდდება 1957 წელს. თუ წინათ უნივერსიტეტის „შრომები" წელიწადში გამოდიოდა 1 ტომის რაოდენობით და 80 ნაბეჭდი თაბახის საერთო მოცულობით, მიმდინარე წელში ... 6 ტომი გამოვა, 150 თაბახის საერთო მოცულობით. საგრძნობლად გადიდდება სახელმძღვანელოების, დამხმარე სახელმძღვანელოების, მონოგრაფიების, მეცნიერულ-პოპულარული ბროშურების და სხვათა გამოცემის გეგმა.

მიმდინარე წელს გათვალისწინებულია სტამბის გაფართოება — ახალი მანქანების შეძენა, მიღებული ზომები საშრიფტო მეურნეობის გასაუმჯობესებლად და სხვა. უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ უკვე გამოყო დამატებითი ფართობი სტამბისთვის.

შრ. თოლდუა,
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობის დირექტორი.

საგამოცდო სესიების ფურცელი

დაიწყო ზამთრის საგამოცდო სესიები.

სტუდენტებო!

● ვიბრძოლოთ მაღალი აკადემიური მაჩვენებლებისათვის!

საჭიროა მტკიცე ცოდნა მიიღო

პოლიტიკური ეკონომია საზოგადოებრივ მეცნიერებათა შორის ერთ-ერთი საკმაოდ რთული საგანია. მისი ღრმად დაუფლება სტუდენტისაგან ბეჯითსა და სისტემატურ შრომას, სემინარულ მეცადინეობებზე უკელი ცალკეული საკითხის საფუძვლიანად გაცნობას და შემდეგომ ძირითადი და დამხმარე ლიტერატურის გამოყენებით მათი სათანადოდ დამუშავებას მოითხოვს.

ეს კარგად ჰქონდა შეგნებული ეკონომიური ფაკულტეტის ფინანსებისა და კრედიტის სპეციალობის II კურსის სტუდენტთა უმრავლესობას, ამიტომ იყო, რომ ისინი გავლილი სემესტრის მანძილზე სისტემატურად ესწრებოდნენ ლექციებს, მომზადებული ცხადდებოდნენ სემინარულ მეცადინეობებზე და აუდიტორიის გარეთაც ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდნენ.

მაგრამ ყველაზე როდი ითქმის ასე. ამ კურსზე არიან სტუდენტებიც, რომლებიც ზარმაცობდნენ. გაურბოდნენ ლექციებზე დასწრებას, არავითარ მუშაობას არ ილებდნენ სემინარულ მუშაობაში და დამოუკიდებლად მუშაობაზე კი ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. და აი ჩვენს წინ არის აღნიშნული სპეციალობის სტუდენტთა პირველი გამოცდის შედეგები, რომლებიც ობიექტურ შეფასებას წარმოადგენენ გაწეული შრომისა და ამის საფუძველზე მიღებული ცოდნისა.

ვათვალიერებთ საგამოცდო ფურცელს და აი რას გვამცნობს იგი: გ. ქავჭანიშვილი — საშუალო, ნ. დუჩიძე — საშუალო, გ. მაღლაკელიძე — საშუალო. მათ გვერდით არიან სხვებიც. ვინ არიან ესენი? — ჯგუფის უმცირესობა. ისინი უკვე მეორე წელია სტუდენტები არიან და ჯერაც ვერ შეეჩვიენ სხვა ამხანაგების მსგავსად ბეჯითად სწავლას, მუყაით შრომას, ლექციებისაგან თავისუფალი დროის შინაარსიანად გამოყენებას და გამოცდაზეც მკვიდრი ცოდნით ვერ გამოცხადნენ.

განა რით ჩამორჩებიან ეს სტუდენტები თავიანთ თანაკურსელებს — ნ. კიკნაძეს, ი. აბაშიძეს, ბ. ლემონჯავას, რ. ცხადაიას და სხვებს, რომლებმაც თავიანთი გულმოდგინე შრომით აღნიშნულ საგანში „ფრიადები" დაიმსახურეს. მხოლოდ ერთით: იმით რომ თავი ვერ დააღწიეს არასისტემატურობას სწავლაში. იტყვიან, საშუალოც ნიშანიაო. მართალია! საშუალოც ნიშანია, მაგრამ იგი მტკიცე ცოდნას არ გამოხატავს, საჭირო კი ისაა, რომ მტკიცე ცოდნა მიიღო საგანში; ამისათვის კი არ კმარა სახელმძღვანელოს ერთხელ გადაკითხვა, ამისათვის სისტემატური, თანმიმდევრული მუშაობაა საჭირო. ასეთი მუშაობა ყველას შეუძლია, თუ კი სიზარმაცეზე აიღებს ხელს.

გ. მიხელიძე

კარგი შედეგები

ფიზიკის ფაკულტეტის I კურსის სტუდენტები პირველ გამოცდას ზოგად ქიმიაში (გამომცდელი დოც. ნ. ფურცხალავა) აბარებდნენ. ისინი ხომ ახლა იწყებენ თავიანთი სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნების ჩაბარებას. ეს გამოცდა ხომ პირველი საფეხურია მეცნიერების იმ მაღალი კიბისა, რომლის ავლასაც ისინი უნივერსიტეტში აპირებენ. ამიტომაც მრავალი განცდა იყო დაკავშირებული პირველ საგამოცდო დღესთან.

ნახევარი წლის ნაყოფიერმა მუშაობამ კარგი შედეგი გამოიღო. გამომცდელის მშვიდი და სიყვარულით აღსავსე გამომეტყველება სითამამეს მატებდა სტუდენტობას. მათ საშუალება ეძლეოდათ მაქსიმალურად გამოემჟღავნებინათ ცოდნა. 7 და 8 იანვარს გამოცდაზე 26 სტუდენტი გავიდა. ამათგან რვა სტუდენტმა ფრიადი შეფასება დაიმსახურა, ათმა — კარგი, შვიდმა — დამაკმაყოფილებელი, ერთი სტუდენტი კი (ბ. გოგიჩაიშვილი) მოუმზადებელი მოვიდა გამოცდაზე და, რა თქმა უნდა, მან არადამაკმაყოფილებელი შეფასება მიიღო. ცხადია, მას არ უმუშავნია სერიოზულად. საკითხავია, რატომ ზარმაცობდა იგი, ნუთუ აღარ ახსოვს მას, რაოდენ ბევრი იყო მსურველი უნივერსიტეტში შემოსვლისა, რომელნიც მასთან ერთად აბარებდნენ მისაღებ გამოცდებს. და თუ ახსოვს, მაშინ ისიც უნდა ახსოვდეს, თუ როგორ ალთქმას აძლევდა მაშინ თავის თავს. მერე და სად გაქრა ეს გადაწყვეტილება. ნუთუ პირველი კურსიდანვე სიზარმაცით აპირებს ფონს გასვლას.

ე. გოცირიძე

პირველი გამოცდა, პირველი წარმატებანი

დილის 9 საათია. ჟურნალისტიკის კაბინეტთან წიგნებით ხელში მოსიარულე სტუდენტები ერთმანეთში ირევიან. ზოგიერთი გამოცდაზე შესვლის წინაც იმეორებს ცალკეულ საკითხებს: „გაპიროვნება არის..." „...მეტაფორა არსებობს ოთხი სახის..." — გაისმის კანტიკუნტად.

ჟურნალისტიკის სპეციალობის I კურსის სტუდენტები დღეს აბარებენ პირველ გამოცდას ლიტმცოდნეობის შესავალში... ვნახოთ როგორი იქნება პირველი შედეგები...

— თქვენი გვარი?

— ელიავა —

— აიღეთ ბილეთი და საკითხები კარგად მოიფიქრეთ! ეუბნება სტუდენტს დოც. ა. ჭილაია — და გამოცდაც იწყება.

პირველი შესანიშნავი პასუხი და ლექტორიც კმაყოფილებით უწერს ლ. ელიავას ჩათვლის წიგნაკში უმაღლეს შეფასებას — ფრიადს.

გამოცდა გრძელდება. გამოცდაზე გადიან ნ. ჭავჭანიძე, ნ. ლობჟანიძე, თ. ჯამბაძე, რ. ჩაჩუა და სხვები. მათი მონდომებული მუშაობაც სათანადოდ ფასდება — მათს ჩათვლის წიგნაკებშიც პირველი ფრიადები იწერება.

მაგრამ ჯგუფის ზოგიერთი სტუდენტის პასუხი ვერ აკმაყოფილებს გამომცდელს და, მართლაც, ვის უყვარს ზარმაცი სტუდენტი და მისი ულიმღამო პასუხი? სამარცხვინოა, ასეთ შრომისმოყვარე სტუდენტთა ჯგუფში ისეთებიც ერიოს, რომლებიც საშუალოზე ძლივს სწავლობენ. სტუდენტები გ. კიკილაშვილი, ო. ნოზაძე, ვ. ბეიღლიშვილი, ნ. ბუაძე და სხვები ასეთი ნიშნის მიღებით სტოვებენ აუდიტორიას.

მიუხედავად ზოგიერთი ასეთი გამონაკლისისა საერთოდ ჯგუფი პირველ გამოცდაზე კარგი მომზადებით გამოცხადდა.

ვუსურვებთ მათ შემდგომ წარმატებებს.

ბ. სამსონაძე

ასეთია ჩვენი გადაწყვეტილება

სასწავლო წლის დასაწყისიდანვე ენერგიულად მოჰკიდეს ხელი რუსული ენის შესწავლის საქმეს ბიოლოგიის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტებმა. დოცენტ ირაკლი ცერცვაძის გულისხმიერი ხელმძღვანელობით მეტად შინაარსიანად და საინტერესოდ ტარდებოდა მეცადინეობები ამ საგანში. რუსული ენის მეცადინეობაზე ლექტორი მუშაობის ერთ საინტერესო ფორმასაც იყენებდა: სტუდენტებს რუსულ ენაზე აკეთებინებდა მოხსენებებს იმ საკურსო შრომების შესახებ, რომლებიც მათ სპეციალურ საგნებში დაიცვეს. რუსულ ენაზევე გამოდიოდნენ პაექრობაში ოპონენტი სტუდენტებიც. ასევე, ლექტორის დავალებით, სტუდენტები სპეციალური რუსული ლიტერატურიდან ქართულ ენაზე ვაკეთებდით გარკვეული მონაკვეთების თარგმანს. ამგვარმა მუშაობამ ხელი შეუწყო პრაქტიკულად უკეთ დაეუფლებოდით დიდი რუსი ხალხის ენას.

ბეჯითმა და ნაყოფიერმა მუშაობამ სასურველი შედეგიც გამოიღო. ჩვენი ჯგუფის სტუდენტები კარგი მომზადებით შეხვდნენ ზამთრის საგამოცდო სესიებს. მეოთხე კურსის — ადამიანისა და ცხოველთა ფიზიოლოგიის სპეციალობის ჯგუფის სტუდენტებმა 7 იანვარს ჩააბარეს გამოცდა რუსულ ენაში. 12 სტუდენტიდან 11-მა მაღალი შეფასება — ფრიადი დაიმსახურა, ხოლო ერთმა — კარგი.

ახლა ჩვენი ჯგუფის სტუდენტები იმეორებენ დანარჩენ საგამოცდო საგნებს. ეს საგნებიც წარმატებით ჩავაბაროთ! — ასეთია ჩვენი გადაწყვეტილება.

გ. ჯახუტაშვილი.

სტუდენტი: ოთხიანი?!, მე კი მეგონა ორიანს მიწერდით...

აუდიტორიების გარეთ და შიგნით

პირველი გამოცდები

7 იანვარი. უნივერსიტეტის საგამოცდო სესიების ისტორიას ერთი ფურცელიც შეემატა. აუდიტორიების წინ თავი მოუყრიათ სტუდენტებს. ზოგს სახეზე ღიმილი უთამაშებს, შეატყობ, რომ კარგად მომზადებულა და თუმცა უნდათ ნერვიულობა დაფარონ, მაგრამ ხელებს მაინც იფშვნეტენ. აგერ გოგონას წიგნი გადაუშლია და უკანასკნელად იმეორებს მრავალგზის წაკითხულ ფორმულას, თვალები ფანჯრისათვის მიუპყრია და ბუტბუტებს, ამხანაგების ქრიამულს ყურს არ უგდებს. ზოგიც მეტისმეტად ნერვიულობს. ეტყობათ კარგათ არ მოუმზადებიათ საგანი. ერთი კითხულობს:

— ლექტორი კარგ ხასიათზეა?!.

— რა ვიცი, ჯერ არავინ გამოსულა გამოცდიდან!

— გამოცდიდანაც გამოდიან. გაისმის შეძახილები. გამოცდიდან გამოსულს წრეს არტყამენ: — რა მიიღე, რა გკითხა, ხომ არ აგიხირდა, — აყრიან შეკითხვებს ამხანაგები.

ხუთიანების წვიმა

ფონეტიკის კაბინეტი. მესამეკურსელი ჟურნალისტები ღელავენ. პროფესორი შალვა რადიანი გამოცდაზე იწვევს სტუდენტებს. ვინ გატეხს ნავსს? ვინ გავა პირველი? და აი ვალიკო გოგოლაშვილი შედის. შედის და ზის. რაღაცას ფიქრობს. საუბედუროდ კარებს პეპრუტანა არ ილმოაჩნდა და ამიტომ სტუდენტთა თავდახრილი თავები ამაოდ დაილალა მის ძებნაში. ბოლოს, როგორც იქნა, ელირსნენ. ვალიკო გამოვიდა. გამოვიდა და პირველი ხუთიანიც გამოიტანა. — ვაი, შენ უბედურო, ცუდი ფეხით თუ გამოდი? — ემუქრებიან ამხანაგები, მაგრამ საბედნიეროდ ვალიკო კარგი ფეხის „გამოდგა". ვასო კასრაძე, გივი შეყილაძე, თენგიზ ჩხაიძე ზედიზედ ხუთებს იღებენ. გამოცდაზე ასევე წარმატებით პასუხობენ სხვებიც — მეხუთე, მეექვსე, მეშვიდე, მერვე, და ასე ხუთმეტმა ხუთიანმა დაამშვენა ჯგუფის საგამოცდო ფურცელი. ჩვენც ფილოლოგების კარგი შედეგებით გახარებულნი ახლა ფიზიკოსებს ვეწვევით. აქაც კმაყოფილი დავრჩით: მეოთხეკურსელებს გ. მესტვირიშვილს, თ. გიორხელიძეს, თ. გურგენიშვილს ქვანტურ თეორიაში „ქვა ქვაზე არ დაუტოვებიათ" და ამ პაექალობისათვის ხუთიანებიც მიუღიათ. საგნის ხელმძღვანელი — ახალგაზრდა ლექტორი გურამ ჭილაშვილი კმაყოფილია. იმავე საგანში კარგად გასცეს პასუხები ბილეთში დასმულ კითხვებზე და მაღალი შეფასებაც დაიმსახურეს მესამეკურსელებმა ვ. ვეტვიაშვილმა, ზ. გლურჯიძემ და სხვ.

ხუთიდან ერთით ჩამოინაცვლეს

მართლაც და, კარგი ნიშანია „კარგი". იგი გვიჩვენებს, რომ სტუდენტს საკმაოდ უმეცადინია, კარგად ვარკვეულა საგანში, თუმცა ეს ნიშანი იმასვე მიგვანიშნებს, რომ სტუდენტს ყოველდღიური შრომისათვის ცოტა რაღაც დაუკლია, ნებსით თუ უნებლიეთ მხედველობიდან გამოპარვია ზოგიერთი რამ და შედეგიც... თუმცა, რა სათქმელია, მაინც მისასალმებელია. რ. ავლახოვას პასუხი სწორედ ამის დამადასტურებელია ქვანტურ თეორიაში.

მათემატიკური ანალიზის კურსი — პროფესორ არჩილ ხარაძის განცხადებით — მეტად რთულსა და დაძაბულ მუშაობას მოითხოვს. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ იგი პირველ კურსზე იკითხება, შეიძლება ითქვას, რომ აქაც გამოცდის პირველი დღის შედეგი სასიამოვნოა: ე. ცხადაძის, გ. მესხის, რ. რუხაძის ბრწყინვალე პასუხის შემდეგ, რომელთაც ხუთები მიიღეს, დაწერილი 10 ოთხიანიც საკმაოდ გამოიყურება. ჩანს პირველკურსელებს კარგად უმუშავნიათ.

სამი რა სასახელოა...

ერთი წუთით წარმოვიდგინოთ აუდიტორიიდან მოწყენილად გამოსული სტუდენტი, როგორ დაღვრემილა იგი, როგორ ჩაახველებს და იტყვის — „ეჰ, საქმე კარგად არ არის", მაგრამ ბოლოს გამოირკვევა, რომ სამიანი მიუღია.

ბევრი გრძნობს, რომ გამოთქმამ — „სამიანი და ჯანმრთელობა" — აზრი დაკარგა. ცხოვრება წინ მიდის, სამიანის დანიშნულება ამ წინსვლას ჩამორჩა. ალბათ ამიტომ ამოიოხრა რ. გოგიჩაიშვილმა, როცა მათემატიკურ ანალიზში სამიანი მიიღო. ახლა საბოლოოდ დარწმუნდა, რომ საკმაოდ არ უმუშავნია, თორემ პროფესორს აბა რა „საჯინო" ჰქონდა მასთან. — დავაკელი, არ ვიმუშავე, როგორც საჭირო იყო, — წარმოთქვა მან.

— დიახ დააკელით, ჩემო მეგობრებო — ქვანტურ თეორიაში — მესამეკურსელო ზ. სიმონიავ! მათემატიკურ ანალიზში — ვ. რაზმაძევ და ს. აზირაშვილო! თქვენს გვარებს აღარ დავასახელებთ, პროფესორ ა. ჩახტაურთან რომ სამიანები მიიღეთ, არც თქვენსას, ფილოლოგებო, ქართულ ენაში რომ ვერ გამოიჩინეთ ფხა.

ჯ. ბუკისციხელი

პედაგოგიური პრაქტიკა გეოგრაფიაში

გასული წლის ნოემბრის თვეში გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის V კურსის ეკონომიური და ფიზიკური გეოგრაფიის სპეციალობის 41 სტუდენტი პედაგოგიურ პრაქტიკას გავდიოდით თბილისის 54-ე და 29-ე ქართულ და მე-60 რუსულ საშუალო სკოლებში.

სკოლაში გარდა საცდელი გაკვეთილების ჩატარებისა, თვითეულ სტუდენტს დაგვევალა, როგორც ამას ახალი ინსტრუქცია ითვალისწინებს, კლასგარეშე მუშაობის ჩატარება, რომელიც არანაკლები მნიშვნელობისა და პასუხსაგებ საქმეს წარმოადგენს.

საერთოდ, ჩვენი პედაგოგიური პრაქტიკა მეტად კარგად და ორგანიზებულად ჩატარდა.

სტუდენტების მიერ გადაცემული გაკვეთილების შინაარსი და მეთოდური გამართულობა მოწმობენ მათს საფუძვლიან მომზადებულობას როგორც სპეციალურ საგნებში, ისე საგნის სწავლების მეთოდიკაში.

პრაქტიკის კარგად ჩატარების საქმეში სტუდენტებს დიდი დახმარება გაგვიწიეს ხელმძღვანელმა მეთოდისტებმა — თ. კიკილაშვილმა და ი. ათხაზავამ, საბაზო სკოლების გეოგრაფიის მასწავლებლებმა — ქ. ზაალიშვილმა, ე. გარსევანიშვილმა, ქ. ბახტაძემ და ქ. კეკელიძემ, აგრეთვე პედაგოგიკის კათედრის წარმომადგენელმა გ. მელიქიძემ.

პრაქტიკის კარგად ჩატარებაში ხელი შეგვიწყო იმ გარემოებამ, რომ კათედრების თანამშრომლები: პროფ. მ. საბაშვილი, პროფ. ტ. ათაბეგოვი და დოც. გ. ზარდალიშვილი დიდ ინტერესს იჩენდნენ ჩვენი მუშაობისადმი, სისტემატურად გვესწრებოდნენ საცდელ გაკვეთილებზე, გვაძლევდნენ საჭირო მეთოდურ მითითებებს და სხვ. თავის მხრივ, ბევრი პრაქტიკანტი სტუდენტი შესანიშნავი დისციპლინით, საქმისადმი პასუხისმგებლობით გამოირჩეოდა. სტუდენტები ლ. ზანდუკელი, ზ. ბარციცი, ბ. ხიშბა, ვ. ამფარი, ვ. კვარჩელია, ც. კარდენახიშვილი, გ. თათარაშვილი, მ. ინჯია, მ. გიორხელიძე, ვ. ჩერქეზიშვილი და სხვები მთელი სერიოზულობით მოეკიდნენ საცდელი გაკვეთილების გადაცემის საქმეს.

პედპრაქტიკის მსვლელობისას ერთგვარ ხელშემშლელ პირობებსაც ჰქონდა ადგილი: ზოგ სკოლას, სადაც პრაქტიკას გავდიოდით, არა აქვს გეოგრაფიის კაბინეტი და ყველა ის თვალსაჩინო საშუალებები, რომლებიც აუცილებელია გეოგრაფიის სწავლების მაღალ დონეზე წარმართვისათვის. ამან, ცხადია, ერთგვარი გავლენა მოახდინა ჩვენს მიერ გადაცემული გაკვეთილების ხარისხზეც.

თ. მოქმანიშვილი

საუკეთესო მუშაკი

იურიდიული ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები თანაბარი პატივისცემით იხსენიებენ უფროსი ლაბორანტის—თამარ ფილიპეს ასული გოგიჩაიშვილის სახელს, რომელსაც აქვს ჩვენი რესპუბლიკის სასამართლო-პროკურატურის ორგანოებში მუშაობის ძვირფასი გამოცდილება; იგი საკმაოდ კარგად იცნობს სასამართლო პრაქტიკას, როგორც რესპუბლიკის პროკურატურის ერთ-ერთი განყოფილების ყოფილი პროკურორი, იგი კარგადაა გაცნობილი მოქმედ კანონებს. ამხ. თამარი, გარდა მშობლიური ენისა, სრულყოფილად ფლობს რუსულსა და ფრანგულ ენებს. ხშირია შემთხვევები, როდესაც იგი იურიდიული ფაკულტეტის დიპლომანტ სტუდენტებს ეხმარება სპეციალური ლიტერატურის თარგმნაში რუსული და ფრანგული ენებიდან.

ამხ. თ. გოგიჩაიშვილის მონაწილეობით სისხლის სამართლის კაბინეტში შედგენილია ბიბლიოგრაფია. სტუდენტს ამ ბიბლიოგრაფიის მეშვეობით შეუძლია გაიგოს, თუ რა დაწერილა მოცემული საკითხის ირგვლივ.

პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები სისხლის სამართლის კაბინეტში შედგენილ ბიბლიოგრაფიას სიყვარულით უწოდებენ არსებული სამეცნიერო ლიტერატურის სამისამართო ბიუროს.

ამხ. თ. გოგიჩაიშვილი ამჟამად მუშაობს სამოქალაქო სამართლის კათედრაზე და კვლავაც მონდომებითა და საქმისადმი სიყვარულით განაგრძობს ნაყოფიერ საქმიანობას.

ზ. ნადარეიშვილი

წერილების კვალდაკვალ

„რატომ შეწყდა სპეცკურსის კითხვა?“

ამ სათაურით ჩვენი გაზეთის რედაქციაში შემოვიდა იურიდიული ფაკულტეტის ფილოსოფიის სპეციალობის IV კურსის სტუდენტის დ. ჯოხაძის წერილი, რომლითაც ავტორი გვატყობინებდა, რომ გასული სასწავლო წლის მეორე სემესტრში აღნიშნული კურსის სტუდენტებს (ე. ი. III კურსზე) ეკითხებოდათ სპეცკურსი — „ჰეგელის «ლოგიკის» რაციონალური მარცვალი“. წაკითხულ იქნა ჰეგელის „ლოგიკის“ მხოლოდ პირველი ნაწილი — მოძღვრება არსზე. დანარჩენი ორი ნაწილი (მოძღვრება არსებაზე და მოძღვრება ცნებაზე) კი შემდეგში უნდა წაკითხულიყო, მაგრამ სინამდვილეში მიმდინარე სასწავლო წლის პირველ სემესტრში აღნიშნული სპეცკურსის კითხვა მათ აღარ განახლებიათ.

რედაქციამ აღნიშნული წერილი გადაუგზავნა უნივერსიტეტის ფილოსოფიის ისტორიის კათედრას, რომელიც გვატყობინებს, რომ კათედრამ გამონახა საჭირო საათები და იგი ფილოსოფიის სპეციალობის IV კურსის სტუდენტებთან მიმდინარე სასწავლო წლის II სემესტრში უზრუნველყოფს აღნიშნული სპეცკურსის მთლიანად წაკითხვას.

მეექვსე ხუთწლედი — მუშათა კლასის კულტურულ-ტექნიკური დონის ამაღლების დიდი პროგრამა

ახალი სოციალურ-ეკონომიური ფორმაციის საბოლოოდ გამარჯვება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ფორმაცია შექმნის უფრო მაღალ შრომის ნაყოფიერებას, ვიდრე წინა ფორმაციას ჰქონდა. ამ გარემოებამ სოციალისტური საზოგადოების წინაშე დააყენა ამოცანა: შექმნას შრომის ისეთი მაღალი ნაყოფიერება, რომელიც მიუღწეველია კაპიტალიზმის დროს. შრომის ასეთი მაღალი ნაყოფიერების მიღწევისათვის, როგორც ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური მშენებლობის პრაქტიკა გვიჩვენებს, აუცილებელია მუშათა კლასის კულტურულ-ტექნიკური დონის ამაღლება საინჟინრო-ტექნიკური შრომის მუშაკების დონემდე.

სოციალისტური სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური წყობილება მუშათა კლასის ყველა წარმომადგენელს სრულ შესაძლებლობას აძლევს იმუშაოს არა მარტო ფიზიკურად, არამედ აქტიური მონაწილეობა მიიღოს გონებრივ შრომაშიც, ქვეყნის სამეურნეო და პოლიტიკურ მართვაში. მაგრამ იმისათვის, რომ მთელმა მუშათა კლასმა თავის ფიზიკურ შრომას შეუთავსოს საინჟინრო-ტექნიკური და საერთო გონებრივი შრომა, საჭიროა არა მარტო სოციალისტური სოციალ-ეკონომიური და პოლიტიკური წყობილების არსებობა, არამედ ამავე დროს აუცილებელია მრეწველობის საწარმოო-ტექნიკური ბაზა იმდენად იყოს განვითარებული, შრომის პირობები — იმდენად გაუმჯობესებული, მატერიალურად მუშათა კლასი — იმდენად უზრუნველყოფილი, სახალხო განათლებისა და სხვა გზით მას მიცემული ჰქონდეს იმგვარი აღზრდა და განათლება, რომ შეეძლოს ფიზიკურ შრომასთან საინჟინრო-ტექნიკური შრომის შეთავსება.

მუშათა კლასის კულტურულ-ტექნიკური დონის ამაღლების ასეთი საფუძვლების შექმნაში დიდი წარმატებებია მოპოვებული წინა ხუთწლედების მანძილზე, რის შედეგადაც დაიწყო მუშათა კლასის კულტურულ-ტექნიკური დონის ტექნიკური პერსონალის დონემდე ამაღლების პროცესი. მეექვსე ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული გრანდიოზული ამოცანების შესრულება ახალ, დიდ მნიშვნელობის მქონე ეტაპს შექმნის ჩვენი ქვეყნის მშრომელთა და მათ შორის მუშათა კლასის კულტურულ-ტექნიკური დონის ამაღლების ისტორიაში.

მეექვსე ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს, უპირველეს ყოვლისა, მრეწველობის საერთო პროდუქციის ზრდას და მისი საწარმოო-ტექნიკური ბაზის შემდგომ განვითარებას, რაც მუშათა კლასის კულტურულ-ტექნიკური დონის ამაღლების მატერიალურ-ტექნიკურ საფუძველს წარმოადგენს. ამ ხუთწლედში მრეწველობის საერთო პროდუქციის გამოშვება გაიზრდება 65 პროცენტით, ხოლო წარმოების საშუალებათა წარმოება — 70 პროცენტით. 1960 წელს სამრეწველო პროდუქციის გამოშვების დონე 5,3-ჯერ გადააჭარბებს ომამდელ დონეს. ამასთან, შემდგომ განვითარდება სახალხო მეურნეობის ელექტროფიკაცია. საწარმოო პროცესების მექანიზაცია და ავტომატიზაცია, ქიმიზაცია და სხვ. 1960 წელს ელექტროენერგიის წლიური გამოშვება აყვანილ იქნება 320 მილიარდ კილოვატსაათამდე. ხუთწლედის ბოლოს, 1955 წელთან შედარებით, ელექტროენერგიის მოხმარება მრეწველობაში გაიზრდება თითქმის ორჯერ, რკინიგზის ტრანსპორტზე — 2,3-ჯერ, სოფლის მეურნეობაში 2,2-ჯერ; შემდგომ განვითარება საწარმოო პროცესების კომპლექსური მექანიზაცია და ავტომატიზაცია მრეწველობის ყველა დარგში; მეტალურგიაში ავტომატიზებულ იქნება 40 საგლინავი და მილსაგლინავი დგანი, დამთავრდება ჰიდროელსადგურების ტელემართვაზე გადაყვანის სამუშაოები. გათვალისწინებულია მიმდინარე ხუთწლედში ყველა თბოელსადგური საწარმოო პროცესების მართვის კომპლექსური ავტომატიზაციით აშენდეს. მანქანათმშენებლობაში სამსხმელო და სამჭედლო წარმოების შემდგომ მექანიზაციასა და ავტომატიზაციასთან ერთად ამ ხუთწლედში აშენდება სულ მცირე 220 ავტომატური და ნახევრადავტომატური ხაზი და საამქრო. ასევე დიდი მასშტაბით განხორციელდება საწარმოო პროცესების ავტომატიზაცია ნავთობის, ქიმიური, საფეიქრო, კვების და მრეწველობის რიგ სხვა დარგებში.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ სოციალისტური წყობილების პირობებში საწარმოო პროცესების ავტომატიზაციის შედეგად რამდენჯერმე იზრდება შრომის ნაყოფიერება, მსუბუქდება მუშის შრომა, საწარმოო პროცესი ხორციელდება მუშის ფიზიკური ძალის მინიმალური დახარჯვით, თავისუფლდება მუშა მძიმე სამუშაოსაგან და მის მოვალეობას უმთავრესად შეადგენს კონტროლი პროცესის მსვლელობისადმი. ავტომატიზაციის მეოხებით ერთ ან რამდენიმე მუშას შეუძლია მართოს ბევრი მანქანა და მექანიზმი. „ავტომატიზაციის დროს იცვლება მუშის შრომის ხასიათი და, რაც მეტი დრო გავა, მისი შრომა სულ უფრო მიუახლოვდება ტექნიკოსისა და ინჟინრის შრომას“ (ნ. ა. ბულგანინი).

მეექვსე ხუთწლედი ითვალისწინებს სოციალისტური წარმოების განუწყვეტელი ზრდისა და სრულყოფის საფუძველზე ქვეყნის ყველა მშრომელისა და, მათ შორის, მუშათა კლასის მატერიალური მდგომარეობის შემდგომ ამაღლებას, რაც მუშათა კლასის კულტურულ-ტექნიკური დონის ამაღლების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა. ნაციონალური შემოსავალი გაიზრდება 60 პროცენტით, მუშებისა და მოსამსახურეების ხელფასი, დაახლოებით, — 30 პროცენტით. 1957 წლის დასაწყისიდან გატარდება მცირეხელფასიანი მუშა-მოსამსახურეების ხელფასის გადიდება. მიმდინარე ხუთწლედში მარტო სახელმწიფო სახსრებით აშენდება 205 მილიონი კვ მ საერთო ფართობის მქონე საცხოვრებელი ბინა, 2,5-ჯერ გადიდდება გაზიფიცირებული ბინების რიცხვი. პარტიის XX ყრილობის დადგენილებათა შესაბამისად უკვე გადიდდა ქალებისათვის შვებულების ხანგრძლივობა ორსულობისა და მშობიარობის პერიოდში, გამოვიდა და მოქმედებაშია ახალი კანონი პენსიების შესახებ, რითაც სერიოზულად გაუმჯობესდა მოსახლეობის საპენსიო უზრუნველყოფა; გაუქმებულია სწავლის ქირა.

ხუთწლედის განმავლობაში ყველა მუშა და მოსამსახურე გადაყვანილ იქნება შვიდსაათიან სამუშაო დღეზე, ხოლო ქვანახშირისა და სამთო მრეწველობაში მომუშავე წამყვანი პროფესიის მუშების სამუშაო დღის ხანგრძლივობა 6 საათამდე შემცირდება. შაბათობითა და უქმეების წინა დღეებში მუშა-მოსამსახურეებისათვის სამუშაო დღის ხანგრძლივობა უკვე შემცირდა 2 საათით, 16-18 წლის მოზარდთათვის დაწესებულია 6 საათიანი სამუშაო დღე. ეს ღონისძიება გატარდა მუშებისა და მოსამსახურეების ხელფასის შემცირების გარეშე, მომავლისათვის გათვალისწინებული ღონისძიებანი სამუშაო დღის ხანგრძლივობის შესამცირებლად აგრეთვე ხელფასის შემცირების გარეშე განხორციელდება.

სამუშაო დღის ხანგრძლივობის შემცირება უდიდესი მნიშვნელობის მქონე ღონისძიებაა მუშათა კლასის კულტურული დონის ამაღლების მატერიალური პირობების შექმნის თვალსაზრისით. კ. მარქსი გვასწავლის, რომ თავისუფალი დრო არის ინდივიდის სრული განვითარების დრო, სწორედ ასეთი დრო ექმნება ჩვენს მუშათა კლასს მიმდინარე ხუთწლედში.

გარდა ზემოაღნიშნულისა, მეექვსე ხუთწლედში გათვალისწინებულია წინანდელ კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებანი მშრომელთა კულტურული დონის შემდგომი ამაღლების მიზნით. მეხუთე ხუთწლედის მანძილზე უკვე ძირითადად განხორციელდა საყოველთაო საშუალო განათლების შემოღება საბჭოთა კავშირის დიდ ქალაქებსა და სამრეწველო ცენტრებში. ამ ხუთწლედში საყოველთაო საშუალო განათლება განხორციელდება ძირითადად როგორც ქალაქად, ისე სოფლად; საშუალო სკოლები მიმდინარე ხუთწლედში გამოუშვებენ 6 მილიონ 300 ათას კაცს, ანუ ორჯერ და უფრო მეტს, ვიდრე წინა ხუთწლედში. მაშასადამე, ახლოვდება დრო, როცა მუშათა კლასის რიგებს შეავსებს მხოლოდ საშუალო განათლების მქონე ადამიანები, მაშინ, როცა ომამდე საფაბრიკო-საქარხნო სკოლებში შემსვლელ ახალგაზრდებს შორის არასრული საშუალო (შვიდწლედი) განათლების მქონეთა ხვედრითი წილი 60 პროცენტს ცოტათი აღემატებოდა. ასეთი მოვლენა წინათ არასოდეს არ იცოდა ჩვენი ქვეყნის ისტორიამ. ამასთან, საშუალო სკოლებში ხორციელდება პოლიტექნიკური სწავლება, რაც უმნიშვნელოვანესი ღონისძიებაა ფიზიკურად და გონებრივად ყოველმხრივ განვითარებული მომავალი თაობის აღზრდის გზაზე.

მიმდინარე ხუთწლედში საშუალო და უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტების გამოშვება გაიზრდება 1,5-ჯერ, მათ შორის მძიმე მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და სოფლის მეურნეობის დარგებისათვის, დაახლოებით, — ორჯერ, ვიდრე წინა ხუთწლედში. მაგრამ ყველაზე შესანიშნავი მუშათა კლასის კულტურულ-ტექნიკური დონის ზრდის თვალსაზრისით მთელს ომისშემდგომ პერიოდში და მიმდინარე ხუთწლედში ის არის, რომ იზრდება იმ მშრომელთა რიცხვი, რომლებიც წარმოებისაგან მოუწყვეტლად იღებენ უმაღლეს განათლებას. მეხუთე ხუთწლედში მარტო უმაღლეს სასწავლებლებში წარმოებისაგან მოუწყვეტლად მოსწავლეთა რიცხვი 427 ათასიდან 718 ათასამდე გადიდდა. ეს რიცხვი 1960 წელს ერთ მილიონს მიაღწევს. ეს იმას ნიშნავს, რომ ამჟამად წარმოებისაგან მოუწყვეტლად მოსწავლე სტუდენტთა რაოდენობა თითქმის უდრის იმ რაოდენობას, რასაც შეადგენდა ომამდე დასწრებულ და დაუსწრებელ სწავლებაში ჩაბმულ სტუდენტთა რაოდენობა ერთად. იმ მშრომელთა რიცხვი, რომლებიც წარმოებისაგან მოუწყვეტლად იღებენ უმაღლეს განათლებას, ამჟამად ჩვენი ქვეყნის სტუდენტობის ერთ მესამედზე მეტს შეადგენს. მაშასადამე, ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასს თანდათანობით ექმნება არა მარტო საშუალო, არამედ უმაღლესი განათლების მიღების მატერიალური და კულტურული პირობები.

მეექვსე ხუთწლედში გაიზრდება სამეცნიერო-კვლევითი და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა რიცხვი, გადიდდება წიგნების, ჟურნალ-გაზეთების გამოცემა და სხვა, რაც მიმართულია ჩვენი ქვეყნის მშრომელთა კულტურული დონის შემდგომი ამაღლებისაკენ.

მაშასადამე, მეექვსე ხუთწლიანი გეგმის განხორციელების შედეგად გაიზრდება ჩვენი ქვეყნის არა მარტო ეკონომიური და პოლიტიკური ძლიერება, არამედ, ამასთან ერთად, დიდად ამაღლდება მთელი საბჭოთა ხალხისა და, მათ შორის, მუშათა კლასის კულტურულ-ტექნიკური დონე.

ა. ვაჩეიშვილი

ჩვენი სიგნალის შემდეგ

„მეტი ყურადღება წიგნის გამოცემის ხარისხს“

ჩვენი გაზეთის 1956 წლის 21 დეკემბრის ნომერში მოთავსებული იყო წერილი სათაურით—„მეტი ყურადღება წიგნის გამოცემის ხარისხს“. უნივერსიტეტის გამომცემლობა გვატყობინებს, რომ წერილში აღნიშნული ფაქტები დადასტურდა და აღნიშნულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად დასახულია ღონისძიებანი. სამკინძაო საამქროს უფროსს ამხ. მ. ჩუგურელიშვილს და ამკრეფ მუშას ამხ. ნ. ყორანაშვილს მიეცათ მითითება.

საინტერესო თემაზე

გიგანტური ლურჯი ვეშაპი

დაუჯერებელია, მაგრამ ნამდვილად კი ასეა, რომ ლურჯი გიგანტური ვეშაპის წონა 36 სპილოს წონას უდრის. ასეთი ვეშაპის ხორცი 26 ტონას იწონის, ხორცი — 66 ტონამდე, ქონი — 50 ტონამდე, ენა — 2 ტონას და ა. შ.

გიგანტურ ვეშაპებს, მათ შორის ლურჯ ვეშაპს, შორიდან შეხედვისას, ემჩნევა თითქოს თავიდან წყლის შადრევანი ამოსდის. ასეთი „შადრევნით" ხატავენ ხოლმე ამ ცხოველის სურათს სახელმძღვანელოებში, მონოგრაფიებში და სხვ. ეს იმის მაჩვენებელია, რომ ვეშაპისათვის „შადრევანი" მეტად დამახასიათებელია.

რას წარმოადგენს ვეშაპის „შადრევანი"?

გიგანტურ ლურჯ ვეშაპს აქვს უზარმაზარი ფილტვები, რომლებიც 1400 კილოგრამს იწონის და 14 000 ლიტრ ჰაერს იტევს. ვეშაპის ფილტვებში ჰაერი ჩვეულებრივ თბილი და რამდენადმე ნოტიოა. ვეშაპი ამოსუნთქვის წინ წყლის ზედაპირზე ამოდის და, უმეტეს შემთხვევაში, ამოსუნთქვას ჯერ კიდევ მაშინ იწყებს, როდესაც მისი სასუნთქი მილის ზედა ხვრელი წყლის თხელი შრითაა დაფარული. ფილტვებიდან დიდი სიძლიერით გამოსული ჰაერის ნაკადი თან იტაცებს და დაახლოებით 15 მეტრის სიმაღლეზე ისვრის იმ წყალს, რომელიც სასუნთქ ხვრელს ზევიდან ფარავდა. წყალი შემდეგ დაბლა ეშვება „შხაპად". ამგვარად წარმოიქმნება ეგრეთწოდებული „შხაპიანი შადრევანი". მაგრამ ზოგჯერ ვეშაპი ამოსუნთქვას იწყებს წყლის ზედაპირზე. ამ შემთხვევაში ფილტვებიდან ამოსული თბილი ჰაერი ატმოსფეროს დაბალი ტემპერატურის გამო ცივდება და „წვიმის" სახით ეშვება დაბლა. ამგვარად წარმოიქმნება ეგრეთწოდებული „ორთქლის შადრევანი". აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ვეშაპის „ორთქლის შადრევანი" უმეტესად ცივ სარტყელებში შეინიშნება ხოლმე.

ვეშაპის „შადრევნის" მოქმედების ხანგრძლივობა 3-6 სეკუნდამდე აღწევს.

არჩ. ჯანაშვილი



ერთი თარგმნილი წიგნის შესახებ

რუსულ ენაზე ორჯერ გამოიცა პროფ. ნ. კ. დრუჟინინის წიგნი **Теория статистики**", რომელიც სსრ კავშირის რიმის სამინისტროს სასწავლო დაწესებულებათა სამმართველოს მიერ რეკომენდებულია როგორც დამხმარე სახელმძღვანელო საბჭოთა ვაჭრობის ტექნიკუმებისათვის. მეორე გამოცემიდან („გოსსტატიზდატი", მოსკოვი, 1954 წ.) ეს წიგნი ქართულადაც ითარგმნა და გამოიცა 1956 წელს (გამომცემლობა „ტექნიკა და შრომა", მთარგმნელი გ. ცინცაძე, რედაქტორი ლ. მამისაშვილი).

უნდა ითქვას, რომ ზემოხსენებული დამხმარე სახელმძღვანელო უნაკლო როდია. იგი საკმაოდ მნიშვნელოვან ხარვეზებსა და პრინციპული ხასიათის თეორიულ შეცდომებსაც შეიცავს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, სახელმძღვანელოში სწორად ვერ არის განსაზღვრული თვით სტატისტიკის მეცნიერება. პროფ. ნ. დრუჟინინი წერს: **„Статистика как наука носит прикладной характер. Она является тем средством, при помощи которого общественные науки, прежде всего политическая экономия, разрешают конкретные проблемы. Содержание статистики как научной дисциплины составляют вопросы, касающиеся правил и приемов собирания статистических данных и способов их обобщения и обработки. Статистику можно назвать учением о методах изучения общественных явлений в их числовом выражении** (стр. 5).

ეს განსაზღვრება იმდენად ბუნდოვანია, რომ გაუგებარი რჩება სტატისტიკა დამოუკიდებელი მეცნიერებაა თუ მეცნიერული დისციპლინა, მეთოდი თუ მოძღვრება. რაც მთავარია, სტატისტიკის მეცნიერების გაგების ასეთი კონცეპცია ბურჟუაზიული სტატისტიკის პირმშოს წარმოადგენს და არაერთხელ ყოფილა სამართლიანად გაკრიტიკებული. ამ საკითხში პროფ. ნ. დრუჟინინის შეხედულებანი სხვა არაფერია, თუ არა ცნობილი ბურჟუაზიული სტატისტიკოსის პროფ. ა. კაუფმანის მოსაზრებათა უკრიტიკოდ განმეორება.

საბჭოთა მეცნიერებაში აღიარებულია, რომ სტატისტიკა არის დამოუკიდებელი მეცნიერება, რომელსაც აქვს საკუთარი კვლევის ობიექტი და მეთოდი. იგი შეისწავლის კონკრეტული მასობრივი სოციალურ-ეკონომიური მოვლენებისა და პროცესების რაოდენობრივ მხარეს, თვისობრივ მხარესთან მჭიდრო კავშირში.

პროფ. ნ. დრუჟინინის „სტატისტიკის თეორიაში" არასაკმარისადაა გადმოცემული წარმოებული სიდიდეების, კერძოდ, საშუალო სიდიდეებისა და ინდექსების თეორიული საფუძვლები.

ნათქვამია — ჯერ არ იყო მძარით და შეურიეს წყალიო. ეს ანდაზა ზედგამოჭრილია სარეცენზიო წიგნის ქართულ თარგმანზე, რომელიც შესრულებულია სრულიად უპასუხისმგებლოდ და არაკვალიფიციურად.

ნათქვამის საილუსტრაციოდ მივმართოთ თუნდაც ზემოთ მოყვანილ ციტატს, რომელიც სტატისტიკის განმარტებას შეიცავს. ეს ციტატი ქართულად შემდეგნაირადაა თარგმნილი: „სტატისტიკა, როგორც მეცნიერება გამოყენებითი ხასიათისაა. სტატისტიკა, ისეთი საშუალებაა, რომლის მეშვეობითაც საზოგადოებრივი მეცნიერება და, უპირველეს ყოვლისა, ეკონომიური პოლიტიკა გადაწყვეტენ კონკრეტულ პრობლემებს. სტატისტიკის, როგორც სამეცნიერო დისციპლინის შინაარსს შეადგენს საკითხები, რომლებიც შეეხებიან წესებს და ხერხებს სტატისტიკური მონაცემების დაგროვების შესახებ და მათი განზოგადებისა და დამუშავების საშუალებას. სტატისტიკას შეიძლება ვუწოდოთ მოძღვრება საზოგადოებრივი მოვლენების შესწავლის მეთოდების შესახებ მათ რიცხობრივ გამოსახულებაში" (ქართ. თარგმანი, გვ. 5-6).

უპირველეს ყოვლისა, საკითხავია, საიდან გაჩნდა თარგმანში „პოლიტიკური ეკონომიის" ნაცვლად „ეკონომიური პოლიტიკა"? ასეთი ურიცხობა ძნელი წარმოსადგენია. აქ უფრო უპასუხისმგებლობის შედეგთან გვაქვს საქმე, ეს კი არანაკლებ მძიმე დანაშაულია; შეიძლება ითქვას — უფრო მეტიც.

ამ უპასუხისმგებლობისა თუ უვიცობის შედეგად ამავე ციტატში „მოძღვრების" მაგიერ ნახმარია „დებულება", „ხერხების" მაგიერ — „საშუალება". ასევე თვითნებურადაა შეცვლილი ზუსტი შინაარსის მქონე ეკონომიური ტერმინები მთელ წიგნში: „ურთიერთობა" შეცვლილია „დამოკიდებულებით" (გვ. მე-4, მე-5, მე-10 და სხვ.), „მოვლენა" — „გავლენით" (გვ. მე-7), „განყოფილება" — „განაყოფით" (გვ. მე-12) და სხვ.

ქართული თარგმანის 25-ე გვერდზე ვკითხულობთ: „თვითეულ ძირზე მოსავლის მიღების დასადგენად კოლმეურნეობებში თვითეულ რაიონში შეირჩევიან მათი წინასწარი დაჯგუფების შემდეგ ამ ნიადაგის არსებობის, ადგილების რელიეფის, სავარგულების თვისების მიხედვით და სწორედ ამ ჯგუფებიდან წარმოებს კოლმეურნეობების ამორჩევა". ჯერ ერთი, ეს იმდენად უხეირო ქართულს წარმოადგენს, რომ მისგან მკითხველს გაუჭირდება აზრის გამოტანა. მეორე მხრით, აქ საქმე გვაქვს წმინდა წყლის აბსურდთან: რუსულ ტექსტში ლაპარაკია არა თვითეული ძირიდან მოსავლის მოსავლის დადგენის შესახებ, არამედ მოსალოდნელი მოსავლის საერთო რაოდენობის განსაზღვრის შესახებ.

დამახინჯებულადაა თარგმნილი შემდეგი ადგილიც. **„Статистические органы производя сводку полученных данных проверяют их как путем чисто арифметического, счетного контроля, так и путем контроля логического"** (გვ. 29. რუს. გამოც.), — ქართულად ასეა თარგმნილი: „სტატისტიკური ორგანოები აწარმოებენ რა მიღებული მონაცემების თავმოყრას, ამოწმებენ მათ, როგორც წმინდა არითმეტიკული და საანგარიშო კონტროლის გზით, ისე ლოგიკური გზითაც" (გვ. 35. ქართ. გამოც.). გამოდის, რომ არითმეტიკული და საანგარიშო კონტროლი სხვადასხვაა და ნაცვლად კონტროლის ორი სახისა არსებობს სამი სახე.

აღსანიშნავია, რომ მთელ რიგ შემთხვევებში ერთი და იგივე რუსული ტერმინისათვის გამოყენებულია სხვადასხვა ქართული შესატყვისი. მაგალითად — **„численность населения"** ერთ შემთხვევაში თარგმნილია როგორც „მოსახლეობის რიცხოვანობა", მეორე შემთხვევაში — „რიცხობრიობა"; მესამეში — „ციფრული გამოსახულება"; **„выборочное наблюдение"** ერთხელ ნათარგმნია „შერჩევით დაკვირვებად", მეორეჯერ — „ამორჩევით დაკვირვებად"; **„статистические ряды"** ნათარგმნია ხან „სტატისტიკურ მწკრივებად", ხან კი — „სტატისტიკურ რიგებად" და ა. შ.

მთარგმნელი არ ერიდება ტექსტის თვითნებურად შეკვეცასა და შეცვლასაც. მაგალითად, შეცვლილია მთელი აბზაცი ორიგინალის მე-19 გვერდზე (შდრ. თარგმანის გვ. 23-ე), ქართულ თარგმანში მთლიანად გამოტოვებულია 9 სტრიქონი ორიგინალის 21-ე გვერდიდან, შეუწყნარებლად დამახინჯებულია აზრი ქართული თარგმანის მე-6, მე-7, მე-11, 23-ე, 59-ე, 65-ე გვერდებზე და ა. შ. ჩვენ ამ ადგილებზე საგანგებოდ არ შევჩერდებით, აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ მთელ რიგ შემთხვევებში აზრის დამახინჯება გამოწვეულია ტექსტის არასწორი გაგებით.

დასასრულ, თარგმანის ზემოჩამოთვლილ ნაკლოვან მხარეებს უნდა დავუმატოთ ისიც, რომ წიგნი, საერთოდ, თარგმნილია ცუდი ქართულით, მასში ბევრია მძიმე და ბუნდოვანი გამოთქმები.

დოც. შ. ბერაძე.
სტატისტიკის კათედრის გამგე.

ღონისძიებათა გეგმები

სტუდენტთა საერთაშორისო კლუბის შექმნის იდეა

მიმდინარე წლის აგვისტოს პირველ ნახევარში მოსკოვში ჩატარდება მსოფლიო ახალგაზრდობისა და სტუდენტობის მშვიდობისა და მეგობრობის VI საერთაშორისო ფესტივალი.

სტუდენტთა საერთაშორისო კონგრესმა, რომელიც გასულ წელს პრაღაში შედგა, მოიწონა ამ ფესტივალისათვის სტუდენტთა საერთაშორისო კლუბის შექმნის იდეა. კლუბისა, რომელიც ფესტივალზე მონაწილეობას მიიღებს სპეციალური დიდი პროგრამით. ეს პროგრამა მხოლოდ ნაწილი იქნება მთელი საფესტივალო ღონისძიებების პროგრამისა, რომელიც, თავის მხრით, ოთხჯერ აღემატება ღონისძიებათა მოცულობით ვარშავის ფესტივალის პროგრამას.

რა იქნება მოსკოვის ფესტივალზე!

ერთნაირი სპეციალობის სტუდენტთა შეხვედრები და სემინარები

გასულ წელს ვარშავის ფესტივალზე სტუდენტთა საერთაშორისო სემინარების წარმატებით ჩატარებამ საშუალება მისცა ფესტივალის საერთაშორისო მოსამზადებელ კომიტეტს დაეგეგმა მოსკოვის ფესტივალზე 9 ასეთი სემინარი, რომლებშიც გათვალისწინებულია 1600 სტუდენტის მონაწილეობა.

სემინარებზე მოეწყობა სტუდენტთათვის განსაკუთრებით საინტერესო საკითხების განხილვა. სემინარები გაგრძელდება 3-5 დღეს.

სემინარების პროგრამა შეიცავს აგრეთვე სხვადასხვა ექსკურსიების ჩატარებას. ეს ექსკურსიები საშუალებას მისცემენ მონაწილეებს მათთვის საინტერესო დარგების მიხედვით გაეცნონ ფესტივალის ქვეყანაში — საბჭოთა კავშირში — წარმოებულ მთელს საქმიანობას. სემინარების ჩატარება გათვალისწინებულია შემდეგ დარგებში: არქიტექტურა და მშენებლობა, სოფლის მეურნეობა, ტექნიკა, მუსიკა, სამართალი, ლიტერატურა, ფილოსოფია, კინო, ატომის ენერგიის მშვიდობიანი მიზნით გამოყენება. ზოგიერთი სემინარი, როგორიცაა, მაგალითად, სემინარი ფილოსოფიაში თემაზე — „შეიძლება თუ არა ადამიანთა საზოგადოების განვითარების გათვალისწინება" — უდავოდ მიიპყრობს აგრეთვე იმ სტუდენტთა ყურადღებას, რომლებიც აღნიშნულ დარგს არ სწავლობენ.

იმ საგნებში, რომლებშიც სემინარების ჩატარებაზე დიდი მოთხოვნილება არ არის, მოეწყობა ერთნაირი სპეციალობის სტუდენტთა შეხვედრები. ეს შეხვედრები დღენახევარი-ორი დღის ხანგრძლივობით მოეწყობა მოსკოვის შესაბამის ინსტიტუტებში და საშუალებას მისცემენ სტუდენტებს გაუზიარონ ერთმანეთს თავიანთი აზრები სწავლების მეთოდებზე, მოაწყონ განხილვები, ექსკურსიები. ჯერჯერობით გათვალისწინებულია იმ სტუდენტთა შეხვედრების მოწყობა, რომლებიც სწავლობენ მედიცინას, პედაგოგიკას, ქიმიას, ისტორიას, ფიზკულტურას, სახვით ხელოვნებას, გეოგრაფიას, გეოლოგიას, ბიოლოგიასა და არქეოლოგიას.

საერთო პროგრამა

იმ სტუდენტებისათვის, რომლებიც მონაწილეობას ვერ მიიღებენ ვერც სემინარებში და ვერც შეხვედრებში, გათვალისწინებულია სტუდენტთა კლუბის ღონისძიებათა მრავალფეროვანი პროგრამა.

კულტურულ ღონისძიებათა რიცხვში შევა საბჭოთა და უცხოელი სტუდენტების კონცერტები, ქორეოგრაფიული სასწავლებლების სტუდენტთა გამოსვლები, სიმფონიური მუსიკის საღამოები, სტუდენტური ფილმების დემონსტრირება და ა. შ. მოეწყობა შეხვედრები, ლექციები და დისკუსიები საპლანეტთაშორისო მოგზაურობის, სხვადასხვა ქვეყნებში სტუდენტთა მოძრაობის, განათლების რეფორმისა და სხვა საკითხებზე, რომლებიც წამოიჭრება ფესტივალის ჩატარებამდე, ან მისი მსვლელობის პროცესში.

ამავე დროს სტუდენტთათვის უზრუნველყოფილი იქნება ფართო შესაძლებლობები დასვენებისათვის. კაფეებსა და სამკითხველო დარბაზებში შესაძლებელი იქნება დელეგაციათა შეხვედრების მოწყობა.

სპეციალური ღონისძიებები

ფესტივალის საერთო პროგრამაში გათვალისწინებულია აგრეთვე სტუდენტური სიმღერების, საუნივერსიტეტო ტრადიციების და მთელი მსოფლიოს ხალხების ადათების დემონსტრირება. ჩატარდება აგრეთვე სტუდენტთა კარნავალი, რომლის დაგეგმვაც ვარშავის ფესტივალზე ჩატარებული კარნავალის ფილმის პოპულარობამ განსაზღვრა.

საერთაშორისო ფესტივალის მოსამზადებელი კომიტეტი იტყობინება, რომ პროგრამა ჯერ კიდევ არ არის საბოლოო და სურვილს გამოთქვამს მიიღოს წინადადებები სხვა ღონისძიებათა ჩატარების შესახებ. კომიტეტი აღნიშნავს, რომ რაც უფრო მალე იქნება მიღებული წინადადებები, მით უფრო შესაძლებელი იქნება მათი შეტანა პროგრამაში.

* * *

თუ თქვენ გსურთ შეიტანოთ თქვენი წინადადებანი, ანდა მიიღოთ სხვა დამატებითი ცნობები საერთაშორისო ფესტივალის შესახებ, შეგიძლიათ ამის შესახებ მისწეროთ მისამართით: ჩეხოსლოვაკია, პრაღა XII, ვოცელოვა, 3, სტუდენტთა საერთაშორისო კავშირი, ცნობები ფესტივალის შესახებ.

რედაქტორი ირ. ვეშაპიძე

რედაქციის მისამართი: ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩა № 1. ტელეფონი 8-28-66.

ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობის სტამბა-ლითოგრაფია. უნივერსიტეტის ქ. № 1. ტირაჟი 1000. უე 00912.